განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები)

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
03.10.2018
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	➢ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში - 0202 ➢ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში - 0203 ➢ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში - 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ვასილ კიკუტაძე,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მარინა ჩავლეიშვილი,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო დგვეფაძე,** საქართველოს უნივერსიტეტი, "ბრენდორ კონსალტინგის" დირექტორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**დავით ბურჯანაძე,** უნივერსიტეტი ,,ნიუვიჟენი", საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების მართვის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც დაეუფლება თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო მეცნიერულ მიდგომებზე დაფუძნებულ, მარკეტინგის მენეჯმენტისა და ფინანსების მართვის როგორც ერთიანი სისტემის ფართო თეორიულ ცოდნას, სპეციფიკურ პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებს. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ECST-ის 240 კრედიტის დაგროვებას. საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 4 მოდულისაგან და გულისხმობს სასწავლო კურსების დაყოფას შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით: საბაზისო სასწავლო კურსების მოდული – მოიცავს 34 კრედიტს (სავალდებულო 24 კრედიტი, არჩევითი 10 კრედიტი) სასწავლო კურსებს. უცხო ენის მოდული – 24 კრედიტის ფარგლებში 4 სემესტრის მანძილზე უცხო ენის სწავლება. გარდა აღნიშნულისა, უცხო ენას, დამწყებთათვის, თავისუფალ კომპონენტებში ეთმობა 6 კრედიტი. სპეციალობის მოდული - მოდულისთვის განკუთვნილია 145-150 კრედიტი ორი მოდულით: მიმართულების სასწავლო კურსების მოდული – 65 კრედიტის (სავალდებულო 53 კრედიტი, არჩევით 12 კრედიტი) სასწავლო კურსებს. სპეციალობის სასწავლო კურსების არჩევითი მოდული, რომელიც შედგება სამი ქვემოდულისგან: 1. მოდული მარკეტინგი 82 კრედიტის (სავალდებულო 62 კრედიტი, არჩევით 20 კრედიტი) სასწავლო კურსებს; 2. მოდული მენეჯმენტი 85 კრედიტის (სავალდებულო 65 კრედიტი, არჩევით 20 კრედიტი) სასწავლო კურსებს; 3. მოდული ფინანსები 80 კრედიტის (სავალდებულო 60 კრედიტი, არჩევით 20 კრედიტი) სასწავლო კურსებს. სპეციალობის მოდულს (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) სტუდენტები ირჩევენ სწავლების მეოთხე სემესტრში. 20 კრედიტი ეთმობა პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომს (10/10). თავისუფალი კრედიტების მოდული - განკუთვნილია თავისუფალი კომპეტენციების შესაძენად, რომელთაც სტუდენტები ირჩევენ უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებიდან 12-17 კრედიტის მოცულობით (სპეციალობის არჩეული მოდულის მიხედვით). თავისუფალი კრედიტების მოდულის შედგენა სტუდენტებს შეუძლია თავისი სურვილისამებრ.

პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება. სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ახსნა-განმარტებითი, დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის, შემთხვევის ანალიზის, როლური და სიტუაციური თამაშების და ა.შ. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით, სადაც სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი. ამასთან, დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით, ხოლო შუალედური შეფასებები - 60 ქულით.

საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ლექტორი) რაოდენობა არის 34, მათგან 27 აკადემიური პერსონალია, რომელთა შორის 22 აფილირებულია უსდ-სთან. აკადემიური პერსონალიდან, პროფესორი არის 15, ასოცირებული პროფესორი 10, ხოლო ასისტენტ პროფესორი 2. მათ შორის, 2 არის უცხოელი პერსონალი. სასწავლო პროცესში ჩართულია 7 მოწვეული სპეციალისტი. ამჟამად, პროგრამას ყავს 143 აქტიური სტუდენტი. საანგარიშო პერიოდში პროგრამას ყავს 463 კურსდამთავრებული, რომელთაგან სწავლების შემდეგ საფეხურზე სწავლა გააგრძელა 33,9%, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით 50%-ზე მეტია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 2 ოქტომბერს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველის სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2, 2.3, 2.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობასია მოთხოვნებთან. მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამას ყავს სტუდენტები, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები, რომლებიც დასაქმებულია მათ შორის, პროფესიის მიხედვით, სწავლას აგრძელებენ განთლების შემდეგ საფეხურზე, სასწავლო დაწესებულება ფლობს მაღალი დონის ინფრასტრუქტურას, გააჩნია საერთაშორისო ურთიერთობები, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

- **რეკომენდაციები**

1. მოდულში მენეჯმენტი დაემატოს სასწავლო კურსი „პრაქტიკული მენეჯმენტი“, რომელიც შესაძლებობას მისცემს სტუდენტებს განავითარონ მენეჯმენტის პრაქტიკული უნრები;
2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს სასწავლო კურსების: „მიკროეკონომიკა, „მაკროეკონომიკა“, ,,მენეჯმენტის თეორია“ და ,,ბიზნესის თეორია“ სახელწოდებები შემდეგნაირად: „მიკროეკონომიკის პრინციპები“, „მაკროეკონომიკის პრინციპები“; ,,მენეჯმენტის საფუძვლები“ და ,,ბიზნესის საფუძვლები“;
3. რეკომენდებულია დაზუსტდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობა, მაგალითად სასწავლო კურსებს: „PR მენეჯმენტი“, „პროექტების მართვა“ წინაპირობად უმჯობესია განესაზღვროს „მენეჯმენტის საფუძვლები“, სასწავლო კურსების „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ და „მონაცემთა ბაზის საინფორმაციო სისტემები“ წინაპირობად უმჯობესია განისაზღვროს „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, ხოლო სასწავლო კურსის „კონკურენტული სტრატეგიები“ წინაპირობად განისაზღვროს ,,ბიზნესის საფუძვლები“ და ,,მენეჯმენტის საფუძვლები“;

4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შინაარსისა და გამოყენებული ლიტერატურიდან გამომდინარე სასწავლო კურსები: „კონკურენცია“ (არჩევითი კურსი) და „კონკურენციული სტრატეგიები“ (სავალდებულო კურსი) გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსად;
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსების („პრაქტიკული მარკეტინგი“, „სოციალური მარკეტინგი“, „მომსახურების მარკეტინგი“), სილაბუსებში განახლდეს გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვე, მათ შორის, ინგლისურენოვანი ლიტერატურითა და სალექციო მასალებით;
6. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პერიოდულად უზრუნველყოს მეტი გასვლითი ლექციების ორგანიზება სხვადასხვა ორგანიზაციებში ან მოიწვიონ სპიკერები წარმატებული კომპანიებიდან ღია ლექციების, მასტერკლასების ჩასატარებლად;
7. რეკომენდებულია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და ხელი შეუწყოს მათ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არჩევით კურსში „ევროპული ინტეგრაცია ცენტრალურ ევროპაში“ სალექციო და სასემინარო საათების თანაფარდობა განისაზღვროს 1/1 (და არა 1/2), როგორც ამ მოდულში შემავალი სხვა არჩევითი სასწავლო კურსებია წარმოდგენილი; ხოლო მარკეტინგის მოდულში სასწავლო კურსს „პრაქტიკული მარკეტინგი“ გაეზარდოს პრაქტიკული მეცადინეობის საათი, კერძოდ, თანაფარდობით 1/2, მით უფრო, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებმა სწავლების პერიოდში მეტი პრაქტიკული უნარები უნდა გამოიმუშაონ;
2. სასურველია ჩასწორდეს შემდეგი ტექნიკური ხარვეზები: არჩევით სასწავლო კურსის სილაბუსებში „ბიზნეს-გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ წერია 6 კრედიტი, ხოლო სასწავლო გეგმაში შესაბამისად, 4 და 3 კრედიტი; სასწავლო პროგრამის სქემაში ზუსტად განლაგდეს საბაზისო სავალდებულო კურსების შესაბამისი საათები;
3. სასურველია სასწავლო კურსის „რეკლამა და სტიმულირების” თემატიკა გაფართოვდეს, რომ უფრო სრულყოფილად მოიცვას ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სრული კომპლექსი;
4. სასურველია უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო მოდულში ან ცალკეული მოდულის ფარგლებში სტუდენტებს შესთავაზოს პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები მეტი რაოდენობით;
5. სასურველია გაძლიერდეს უცხო ენის (ინგლისური ენა) სწავლება დამატებითი ენის სპეციალიზებული კურსების შეთავაზებით;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე მოქმედებს სასწავლო ინკუბატორი, რომლის საფუძველზეც ფუნქციონირებს იმიტაციური თამაშების ლაბორატორია: ,,გთ სასწავლო ბანკი''; ,,გთ კონსალტინგი'', სადაც სტუდენტები იმიტაციური თამაშებით ეუფლებიან პროფესიულ და პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს; დღეს ბიზნესის მართვის მიმართულებით უკვე შექმნილია პროდუქტები: ,,აგრარული ბაზრის პროექტი''; ,,საბანკო პროდუქტი'';

2. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისათვის დადგენილია ერთი თავისუფალი სამუშაო დღე, რომელიც ცნობილია ,,საბიბლიოთეკო დღის“ სახელწოდებით, აღნიშნული დღე ითვლება შრომით დატვირთვაში და ანაზღაურებადია აკადემიური პერსონალისთვის.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2013 წლის 15 ოქტომბრის №149 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე, საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებულია შემდეგი ცვლილებები: გასწორდა ჩანაწერი პროგრამაზე სწავლების ენის შესახებ, შეიცვალა ზოგიერთი სასწავლო კურსის სტატუსი და თავისუფალიდან გადაინაცვლა სავალდებულო საგნების ბლოკში; შეიცვალა საბაკალავრო ნაშრომისა და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში მოცემული შეფასებების კრიტერიუმები; შეიცვალა კოდების სისტემა - დარჩა მხოლოდ კურსისა და კრედიტის განმსაზღვრელი აღნიშვნები (შესაბამისი ცვლილება შევიდა სილაბუსებში); ლექციებსა და სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ამაღლდა მულტიმედია საშუალებების და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების დონე.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საგანმანთლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების მართვის, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე, მიღწევადია და ნათლად არის ჩამოყალიბებული მისი მიზნები. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, ფასეულობებს, მიზნებსა და ამოცანებს. პროგრამის მოქნილი სტრუქტურა მიზნად ისახავს როგორც სტუდენტის მობილობის ხელშეწყობას საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისათვის მათ მომზადებას. პროგრამის მიზნით განპირობებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფს ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ საკუთარი წვლილი შეიტანონ როგორც დარგის, ისე საზოგადოების სამეწარმეო აზროვნების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების(მარკეტინგი, მენეჯმენტი. ფინანსები) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო უნივერსიტეტის მისია; ○ სტრატეგიული განვითარების გეგმები; ○ შრომის ბაზრისა კვლევა; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით: www.gtuni.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია კომპაქტურად და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის მიზნებს და დეტალურად არის წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სასწავლო უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდება პროგრამის სწავლის შდეგების შეფასება, გაწერილია პროცესი, რომელიც მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რაც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. პროგრამის სწავლის შედეგების სისტემა, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასება ასახულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში, რომლითაც საგანმანათლებლო პროგრამის მიზნით განსაზღვრული კომპეტენციების ფორმირება მხოლოდ პროგრამის ცალკეული კომპონენტების (მოდული, სასწავლო კურსი) სწავლის შედეგებით ხორციელდება. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება ხდება სტუდენტის სწავლების ყველა ფორმით - ცალკეული ან რამოდენიმე სასწავლო კურსით, პრაქტიკის გავლით, სამეცნიერო-კვლევითი, დამოუკიდებელი მუშობით და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილში.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდები (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრეზენტაციის წარმოდგენა და სხვა.), რაც კონკრეტდება ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსის დონეზე, სადაც თავის მხრივ, კურსის სპეციფიკის შესაბამისად დაკონრეტებულია შეფასების მეთოდის საზომი ერთეულები ანუ შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

უნივერსიტეტში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემაში ჩართულია დაინტერესებული მხარეები, კერძოდ დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები. შესაბამისად პროგრამის შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, მაგალითად სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ–ჩვევების და ანალიტიკური აზროვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის სტრუქტურაში დაემატა შემდეგი დისციპლინები: „მეწარმეობის ეკონომიკა და მართვა“, „ბიზნეს გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“; „მონაცემთა ანალიზი და პროგნოზირება“, სტუდენტების მოთხოვნით და უნივერსიტეტის დაფინანსებით ბიზნეს-ოლიმპიადის ფარგლებში სტუდენტების მონაწილეობით განხორციელდა კვლევითი პროექტი და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების(მარკეტინგი, მენეჯმენტი. ფინანსები) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი; ○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით: www.gtuni.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,	√			

სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს გთუნი-ს ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა შიდა და გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და გთუნი-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია და საჯარო. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე და ელექტრონულ ბაზაში. პროგრამაზე მიღება ხდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნების მიხედვით (5 საგანი), მათ შორის, ადგილების ქვოტაში მათემატიკის წილი 33%-ია. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების(მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საბაკალავრო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან ○ საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი). ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ○ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.gtuni.edu.ge

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია გთუნ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე (№6, 7 სექტენბერი, 2017) და გამოცემულია რექტორის ბრძანება (№01-01/59, „8 სექტემბერი“). პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესის საფუძველია შრომის ბაზრის მოთხოვნა, დაგეგმვის ეტაპები გამჭვირვალეა, იგი ეფუძნება მასში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარის - სტუდენტთა ჯგუფი, აკადემიური პერსონალი, პროგრამული მიმართულება/კათედრა, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რექტორი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული - ურთიერთთანამშრომლობას. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. ბიზნესის ადინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება - ბიზნესის ადმინისტ-რირების ბაკალავრი მარკეტინგში - 0202; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში - 0203; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში - 0204 – 240 ECTS კრედიტის დაგროვების საფუძველზე. პროგრამის სტრუქტურაში 240 კრედიტი განაწილებულია შემდეგნაირად, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 4 მოდულისაგან და გულისხმობს სასწავლო კურსების დაყოფას შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით: • **საბაზისო სასწავლო კურსების მოდული –** მოიცავს 34 კრედიტს (სავალდებულო 24 კრედიტი, არჩევითი 10 კრედიტი) სასწავლო კურსებს. • **უცხო ენის მოდული –** 24 კრედიტის ფარგლებში 4 სემესტრის მანძილზე უცხო ენის სწავლება. გარდა აღნიშნულისა, უცხო ენას, დამწყებთათვის, თავისუფალ კომპონენტებში ეთმობა 6 კრედიტი. • **სპეციალობის მოდული -** მოდულისთვის განკუთვნილია 145-150 კრედიტი ორი მოდულით:

- ✓ **მიმართულების სასწავლო კურსების მოდული** – 65 კრედიტის (სავალდებულო 53 კრედიტი, არჩევით 12 კრედიტი) სასწავლო კურსებს.
- ✓ **სპეციალობის სასწავლო კურსების არჩევითი მოდული, რომელიც** შედგება სამი ქვემოდულისგან: 1. **მოდული მარკეტინგი** 82 კრედიტის (სავალდებულო 62 კრედიტი, არჩევით 20 კრედიტი) სასწავლო კურსებს; 2. **მოდული მენეჯმენტი** 85 კრედიტის (სავალდებულო 65 კრედიტი, არჩევით 20 კრედიტი) სასწავლო კურსებს; 3. **მოდული ფინანსები** 80 კრედიტის (სავალდებულო 60 კრედიტი, არჩევით 20 კრედიტი) სასწავლო კურსებს. სპეციალობის მოდულს (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) სტუდენტები ირჩევენ სწავლების მეოთხე სემესტრში. 20 კრედიტი ეთმობა პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომს (10/10).

- **თავისუფალი კრედიტების მოდული** - განკუთვნილია თავისუფალი კომპეტენციების შესაძენად, რომელთაც სტუდენტები ირჩევენ უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებიდან 12-17 კრედიტის მოცულობით (სპეციალობის არჩეული მოდულის მიხედვით). თავისუფალი კრედიტების მოდულის შედგენა სტუდენტებს შეუძლია თავისი სურვილისამებრ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, მოქნილია, თანმიმდევრული, კერძოდ, მარტივიდან რთულისაკენ, საფუძვლებიდან მიმართულების ზოგად კურსებსა და მაპროფილებელ სასწავლო კურსებზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და წავლის შედეგების მიღწევას და აგებულია საქართველოს კანონმდებლობის წესის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის აღმწერისა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. მიუხედავათ დადებითი შეფასებისა საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია რეკომენდაცებსა და რჩევებში, კერძოდ, რეკომენდებულია მოდულში მენეჯმენტი დაემატოს სასწავლო კურსი „პრაქტიკული მენეჯმენტი“, ასევე, სასურველია მარკეტინგის მოდულში კურსი „რეკლამა და სტიმულირების” თემატიკა გაფართოვდეს, რომ უფრო სრულყოფილად მოიცვას ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სრული კომპლექსი და თანამედროვე მარკეტინგული დისციპლინები, როგორიცაა გამოცდილებითი მარკეტინგი და სხვ. ასევე, რეკომენდებულია დაზუსტდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობა, მაგალითად, სასწავლო კურსებს: „PR მენეჯმენტი“, „პროექტების მართვა“ წინაპირობად უმჯობესია განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლები, სასწავლო კურსების „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ და „მონაცემთა ბაზის საინფორმაციო სისტემები“ წინაპირობად უმჯობესია განისაზღვროს „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, ხოლო სასწავლო კურსის „კონკურენტულ სტრატეგიები“ წინაპირობად განისაზღვროს ,,ბიზნესის საფუძვლები“ და ,,მენეჯმენტის საფუძვლები“. ამასთან, საჭიროა სასწავლო კურსები „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ სახელწოდებები დაკორექტირდეს როგორც „მიკროეკონომიკის პრინციპები“ და „მაკროეკონომიკის პრინციპები“; სასწავლო კურსების ,,მენეჯმენტის თეორია“ და ,,ბინზესის თეორია“ სახელწოდებები ჩამოყალიბდეს, როგორც: „მენეჯმენტის საფუძვლები“ და „ბიზნესის საფუძვლები“, მათი შინაარსიდან გამომდინარე. არჩევით სასწავლო კურსში „ევროპული ინტეგრაცია ცენტრალურ ევროპაში“ უმჯობესია სალექციო და სასემინარო საათების თანაფარდობა განისაზღვროს 1/1 (და არა 1/2), როგორც ამ მოდულში შემავალი სხვა არჩევითი სასწავლო კურსებია წარმოდგენილი; ხოლო მარკეტინგის მოდულში სასწავლო კურსს „პრაქტიკული მარკეტინგი“ გაეზარდოს პრაქტიკული მეცადინეობის საათი, კერძოდ, თანაფარდობით 1/2, მით უფრო, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასურველია სტუდენტებმა შეიძინონ მეტი პრაქტიკული უნარები სასწავლო კურსების შესწავლისას; საჭიროა

ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზები შემდეგი მიმართულებით: არჩევით სასწავლო კურსის სილაბუსებში „ბიზნეს-გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ წერია 6 კრედიტი, ხოლო სასწავლო გეგმაში შესაბამისად, 4 და 3 კრედიტი; სასწავლო პროგრამის სქემაში ზუსტად განლაგდეს საბაზისო სავალდებულო კურსების შესაბამისი საათები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა;
- ბიზნესის ადმინისტრირების(მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამა ;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან;
- შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდით: www.gtuni.edu.ge

რეკომენდაციები:

- მოდულში მენეჯმენტი დაემატოს სასწავლო კურსი „პრაქტიკული მენეჯმენტი“, რომელიც შესაძლებობას მისცემს სტუდენტებს განავითარონ მენეჯმენტის პრაქტიკული უნრები;
- რეკომენდებულია დაკორექტირდეს სასწავლო კურსების: „მიკროეკონომიკა, „მაკროეკონომიკა“, ,,მენეჯმენტის თეორია“ და ,,ბიზნესის თეორია“ სახელწოდებები შემდეგნაირად: „მიკროეკონომიკის პრინციპები“, „მაკროეკონომიკის პრინციპები“; ,,მენეჯმენტის საფუძვლები“ და ,,ბიზნესის საფუძვლები“;
- რეკომენდებულია დაზუსტდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობა, მაგალითად, სასწავლო კურსებს: „PR მენეჯმენტი“, „პროექტების მართვა“ წინაპირობად უმჯობესია განესაზღვროს „მენეჯმენტის საფუძვლები“, სასწავლო კურსების „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ და „მონაცემთა ბაზის საინფორმაციო სისტემები“ წინაპირობად უმჯობესია განისაზღვროს „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, ხოლო სასწავლო კურსის „კონკურენტულ სტრატეგიები“ წინაპირობად განისაზღვროს ,,ბიზნესის საფუძვლები“ და ,,მენეჯმენტის საფუძვლები“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არჩევით კურსში „ევროპული ინტეგრაცია ცენტრალურ ევროპაში“ სალექციო და სასემინარო საათების თანაფარდობა განისაზღვროს 1/1 (და არა 1/2), როგორც ამ მოდულში შემავალი სხვა არჩევითი სასწავლო კურსებია წარმოდგენილი; ხოლო მარკეტინგის მოდულში სასწავლო კურსს „პრაქტიკული მარკეტინგი“ გაეზარდოს პრაქტიკული მეცადინეობის საათი, კერძოდ, თანაფარდობით 1/2, მით უფრო, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მეტი პრაქტიკული უნარები გამოიმუშაონ სტუდენტებმა სწავლების პერიოდში;
- სასურველია ჩასწორდეს შემდეგი ტექნიკური ხარვეზები: არჩევით სასწავლო კურსის სილაბუსებში „ბიზნეს-გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ წერია 6 კრედიტი, ხოლო სასწავლო გეგმაში შესაბამისად, 4 და 3 კრედიტი; სასწავლო პროგრამის სქემაში ზუსტად განლაგდეს საბაზისო სავალდებულო კურსების შესაბამისი საათები;

- სასურველია სასწავლო კურსის „რეკლამა და სტიმულირების" თემატიკა გაფართოვდეს, რომ უფრო სრულყოფილად მოიცვას ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სრული კომპლექსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს თავაზობს საბაზისო, მიმართულების სავალდებულო, მოდულების სავალდებულო, თავისუფალი სასწავლო კურსების ფართო სპექტრს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგის ნაწილს და შეესაბამება როგორც შინაარსს, ასევე ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპებს, აგრეთვე, უმაღლესი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულ კრედიტების განაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. პროგრამა სტუდენტს სთავაზობს არჩევით მოდულებს, რომელთა საშუალებით სტუდენტს შეუძლია ცოდნა გააძლიეროს მარკეტინგის, მენეჯმენტის, ფინანსების მიმართულებით. თითოეული სასწავლო კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტი მეტწილად გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალის მოცულობიდან. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების, სხვა დოკუმენტაციის, ასევე, ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუებიდან გამოვლენილ გარემოებების გათვალისწინებით, პროგრამის კომპონენტების შინაარსის, დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ: სასწავლო კურსის შინაარსისა და გამოყენებული ლიტერატურიდან გამომდინარე სასურველია „კონკურენცია" (არჩევითი კურსი) და „კონკურენციული სტრატეგიები" (სავალდებულო კურსი) ერთ სასწავლო კურსად გაერთიანდეს. ორივე სასწავლო კურსში გამოყენებულია მ. პორტერის სახელმძღვანელო და შინაარსი ხელოვნურად არის დანაწევრებული; კურსების სილაბუსებში

ძირითადად გამოყენებულია რუსულენოვანი ლიტერატურა, რომელიც საჭიროებს განახლებას, მაგალითად, სასწავლო კურსებში „პრაქტიკული მარკეტინგი“, „სოციალური მარკეტინგი“, „მომსახურების მარკეტინგი“, - დამატებით ლიტერატურაში გამოყენებულია რუსული სახელმძვანელო „პრაქტიკული მარკეტინგი“, ტიმ ამბლერი, 2001 და სხვა. გამომდინარე აქედან, საჭიროა ლიტერატურის განახლება და ინგლისურენოვანი ლიტერატურული წყაროების მეტი გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების(მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შინაარსისა და გამოყენებული ლიტერატურიდან გამომდინარე, სასწავლო კურსები: „კონკურენცია“ (არჩევითი კურსი) და „კონკურენციული სტრატეგიები“ (სავალდებულო კურსი) ერთ სასწავლო კურსად გაერთიანდეს; • რეკომენდებულია სასწავლო კურსების („პრაქტიკული მარკეტინგი“, „სოციალური მარკეტინგი“, „მომსახურების მარკეტინგი“), სილაბუსებში განახლდეს გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვე, მათ შორის, ინგლისურენოვანი ლიტერატურითა და სალექციო მასალებით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს პროფესიული პრაქტიკის გავლით, 10 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის შეფასების კომპონენტები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში. გარდა ამისა, ზოგიერთი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პრაქტიკის ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელძღვანელთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ შესაბამისი მიმართულებიდან გამოყოფილია დარგის კვალიფიციური სპეციალისტი სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელად, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას, ასევე პრაქტიკის ობიექტზე გამოყოფილია მენტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს სტუდენტს მუშაობას პრაქტიკის ობიექტზე. პროფესიული პრაქტიკის შეფასებას განსაზღვრავს შუალედური შეფასებებისა (მენტორის შეფასება 40 ქულა; პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება-20 ქულა) და პრაქტიკის ანგარიშის დაცვის ქულათა ჯამი. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება (სულ 16 ორგანიზაცია) ეკონომიკურ აგენტებთან/სახელმწიფო სტრუქტურებთან სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები და დამსაქმებლები ითხოვენ საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაზრდას. კვლევითი უნარების განვითარებას უზრუნველყოფს სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომის მომზადება 10 კრედიტის მოცულობით. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები გაწერილია სილაბუსში, რომელიც ავლენს სტუდენტის ცოდნის დონის, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და დამოუკიდებელი მუშაობის ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. კვლევების ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ბიზნეს-ოლიმპიადები, სემინარები, ტრენინგები, მასტერკლასები და სხვა. მიუხედავად არსებული აქტივობებისა, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ პროფესიული მომზადების თვალსაზრისით ისინი ითხოვენ პრაქტიკული სამუშაოსთვის უნარების ნაკლებობას. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პოზიცია და საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო მოდულში ან ცალკეული მოდულის ფარგლებში სტუდენტებს შესთავაზოს პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები; პრაქტიკული უნარების განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა პერიოდულად მოაწყოს გასვლითი ლექციები სხვადასხვა ორგანიზაციებში ან მოიწვიონ სპიკერები წარმატებული კომპანიებიდან. პრაქტიკული უნარების განვითარებას ხელს უწყობს ისიც, რომ ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე მოქმედებს სასწავლო ინკუბატორი, რომლის საფუძველზეც ფუნქციონირებს იმიტაციური თამაშების ლაბორატორია: ,,გთ სასწავლო ბანკი''; ,,გთ კონსალტინგი'', სადაც სუდენტები იმიტაციური თამაშებით ეუფლებიან პროფესიულ და პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს; დღეს ბიზნესის მართვის მიმართულებით უკვე შექმნილია პროდუქტები: ,,აგრარული ბაზრის პროექტი''; ,,საბანკო პროდუქტი''.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების(მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პრაქტიკის განმახორციელებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი;
- სტუდენტური კონფერენციების მასალები;
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან;
- შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდით: www.gtuni.edu.ge

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პერიოდულად უზრუნველყოს მეტი გასვლითი ლექციების ორგანიზება სხვადასხვა ორგანიზაციებში ან მოიწვიონ სპიკერები წარმატებული კომპანიებიდან ღია ლექციების, მასტერკლასების ჩასატარებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო მოდულში ან ცალკეული მოდულის ფარგლებში სტუდენტებს შესთავაზოს პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები მეტი რაოდენობით;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე მოქმედებს სასწავლო ინკუბატორი, რომლის საფუძველზეც ფუნქციონირებს იმიტაციური თამაშების ლაბორატორია: ,,გთ სასწავლო ბანკი''; ,,გთ კონსალტინგი'', სადაც სუდენტები იმიტაციური თამაშებით ეუფლებიან პროფესიულ და პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს; დღეს ბიზნესის მართვის მიმართულებით უკვე შექმნილია პროდუქტები: ,,აგრარული ბაზრის პროექტი''; ,,საბანკო პროდუქტი''.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს კვლევებზე დაფუძნებული ცოდნის დაგროვება, გადაცემა, გამოყენება და განვითარება. გთუნი-ს დიდაქტიკური კონცეფციას საფუძვლად უდევს: სწავლების პროცესისადმი სისტემური მიდგომა; განმავითარებელი სწავლება; სტუდენტთა თვითშეგნება და შემოქმედებითი აქტივობა; თეორიული აზროვნების წარმოჩენა და განვითარება; სწავლების სისტემურობა; სწავლიდან თვითგანათლებაზე გადასვლა; სწავლების კავშირი პროფესიული საქმიანობის პრაქტიკასთან; სწავლების ჯგუფური ხასიათი; სწავლების ჰუმანიზაცია; სწავლების კომპიუტერიზაცია; საგანთშორისი კავშირების გათვალისწინება; სწავლების ინოვაციურობა. პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით; სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02); ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორ სახის უარყოფით შეფასებას.

ბიზნესის ადმისნიტრირების პროგრამის მიხედვით სწავლებისას გამოიყენება შემდეგი სწავლის ფორმები: ლექცია, სემინარული/ჯგუფში მუშაობის და პრაქტიკული მეცადინეობები, კონსულტაცია და პროფესიული პრაქტიკა. პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება. სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის ლექციის დროს გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი. პრაქტიკული მეცადინეობებისა და სემინარული/ჯგუფში მუშაობის დროს გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები; შემთხვევის ანალიზი; ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობის, შემთხვევების ანალიზის, დისკუსიის, „ობობის", ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდები.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებულ ყველა საგანში ან რომელიმე კონკრეტულ საგანში/საგნებში სსსმ სტუდენტის საჭიროების შესაბამისად და განისაზღვრება, რომლისთვისაც გამოყოფილია ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი.

თუმცა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოვლინდა, რომ ისინი განიცდიან პრაქტიკული კომპონენტების ნაკლებობას ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში. მაგალითად, უცხო ენის (ინგლისური ენა) სწავლების დონე. უნივერსიტეტის ხელძღვანელობასთან და ხარისხის სამსახურთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ ამ მიმართულებით გთუნ-ი ხელშეკრულებას აფორმებს ბრიტანულ ცენტრთან და იგეგმება ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირება(მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სტუდენტთა ინდივიდუალური სასაწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რექტორის ბრძანება 01-01/84, 27.11.2017.
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გაძლიერდეს უცხო ენის (ინგლისური ენა) სწავლება დამატებითი ენის სპეციალიზებული კურსების შეთავაზებით;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტი მიღწევების შეფასებისას ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02); ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით. შეფასების პროცედურა გამჭირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია. აღნიშნული შეფასების პროცედურით სტუდენტი დაცულია ერთჯერადი შეფასებისაგან. შეფასების პროცესი მრავალკომპონენტიანია და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების

ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსებში. ასევე, სილაბუსებში ასახულია სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტებისთვის სილაბუსები ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისშივე თსუ ელექტრონული პორტალის საშუალებით. მიმდინარე შეფასებას ახორციელებს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, რომელიც შეფასების თითოეულ კომპონენტში მიღწეულ შედეგს აფიქსირებს ელექტრონულ ჟურნალში. სასწავლო კურსის განხორციელებაში ჩართული პირები სილაბუსის შედგენისას ხელმძღვანელობენ სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, კურსის ადეკვატური შეფასების ფორმით, კომპონენტებით, კრიტერიუმებით და მეთოდებით, რომლებიც თავის მხრივ ექვემდებარებიან შიდა და გარე შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს შეფასების შედეგების ანალიზს, ხდება მათი განხილვა და ხარვეზების გამოვლენა და შემდგომი რეაგირება. ამ პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი. სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად განიხილება პროგრამისა და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე. საჭიროების შემთხვევაში ხდება ჩასწორება გაუმჯობესების მიზნით, რაც შემდგომ აისახება სტუდენტებთან ურთიერთობისას. სტუდენტებს აწვდიან რეგულარულად ინფორმაციას სხვადასხვა კომუნიკაციის სხვადასვხა მეთოდებით. გარდა ამისა ინფრომაცია განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბიზნესის ადმინისტრირება(მარკეტინგი, მენეჯენეტი, ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ელექტრონული პორტალი;
- გამოცდების ჩატარების წესი; რექტორის ბრძანება 01-01/59, 8 სექტემბერი, 2017;
- ვებ-გვერდი www.gtuni.edu.ge;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი იღებს, სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ტუტორის (აკადემიური კონსულტანტის), პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა), უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით სტუდენტს, თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად, შეუძლია მიიღოს კონსულტაცია და დახმარება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას სტუდენტი სრულად ითვალისწინებს სასწავლო კურსებს, რომლებიც ჩამოთვლილია არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსების შესწავლის წინაპირობაში. სტუდენტს შეუძლია როგორც სასწავლო კურსების, ასევე პროფესორ-მასწავლებლების არჩევა. ფაკულტეტის დეკანატი უზრუნველყოფს საინფორმაციო დაფაზე და ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებას სტუდენტების აკადემიური რეგისტრაციის შესახებ. აკადემიურ რეგისტრაციას სტუდენტი ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინტერაქტიულ სისტემაში. ფაკულტეტზე, სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობასა და კვლევითი პროექტების განხორციელებაში ჩართვის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების, მასტერკლასების ორგანიზება–ჩატარებას. უნივერსიტეტის დაფინანსებით ბიზნეს-ოლიმპიადის ფარგლებში

სტუდენტების მონაწილეობით განხორციელდა კვლევითი პროექტი. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სააქტო და საკონფერენციო დარბაზები. რეგულარულად ტარდება უნივერსიტეტთაშორისი სტუდენტური კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, ჩამოყალიბებულია მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, ჩამოყალიბებულია ინტელექტკლუბის „რა, სად, როდის?“ ჯგუფები, რომელთა შორის პერიოდულად ტარდება შეჯიბრი. გთუნი-ს ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ტარდება საჯარო ლექციები, სხვადასხვა სახის სპორტული და კულტურული ღონისძიებები. აკადემიური და მოწვეული პერსონალი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ, ასევე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულია კონსულტაციების ხანგრძლივობა და დღეები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირება(მარკეტინგი, მენეჯენეტი, ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები; ○ ელექტრონული პორტალი; ○ გამოცდების ჩატარების წესი; რექტორის ბრძანება 01-01/59, 8 სექტემბერი, 2017; ○ ვებ-გვერდი www.gtuni.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ლექტორი) რაოდენობა არის 34, მათგან 27 აკადემიური პერსონალია, რომელთა შორის 22 აფილირებულია უსდ-სთან. აკადემიური პერსონალიდან, პროფესორი არის 15, ასოცირებული პროფესორი 10, ხოლო ასისტენტ პროფესორი 2. მათ შორის 2 არის უცხოელი პერსონალი. სასწავლო პროცესში ჩართულია 7 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასახულია გთუნი-ს შინაგანაწესში, ასევე აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესში, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე მოწვეული სპეციალისტისა არჩევის წესში. აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევა ხდება ღია კონკურსის წესით. მოწვეული ლექტორების შერჩევის პროცესში ყურადღება ექცევა შესაბამის სფეროში განათლებას, პრაქტიკულ და პედაგოგიურ გამოცდილებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისთვის უსდ-ში შექმნილია სათანადო პირობები, რაშიც აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის განაწილების სქემაც მოიაზრება. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა განისაზღვრება გთუნი-ს მოქმედი რეგულაციებით. აკადემიური პერსონალის დატვირთვა ასახავს საქმიანობის სრულ სპექტრს. აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჯამური

კვირეული დატვირთვა (ყველა საქმიანობაზე და მათ შემადგენელ ცალკეულ კომპონენტებზე) არ აღემატება საქართველოს შრომის კოდექსით დაშვებულ ნორმას - მაქსიმუმ 40 საათს კვირაში. ხოლო, სრული დატვირთვის განაკვეთის წლიური სამუშაო დრო -1800 საათს, 45 სამუშაო კვირას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, რაც დასტურდება 2013-2018 წლების მონაცემებით. არსებული მდგომარეობით, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და მათზე დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებას. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის აკადემიური (აფილირებული/მოწვეული) პერსონალი, რომლებსაც შესწევთ უნარი უზრუნველყონ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია, სადაც დეტალურად არის გაწერილი მისი ძირითადი ფუნქციები, მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. იგი ადმინისტრაციულად ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს პროგრამასა და მის ხარისხობრივ საკითხებს. პროგრამის ამჟამინდელ ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და მრავალწლიანი გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში, მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის, დეკანის, ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოების წინაშე. პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ისინი ახორციელებენ სტუდენტების ინფორმირებას საბაკალავრო პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათგან მიღებულ სერვისს და დროულ უკუკავშირს სტუდენტები დადებითად აფასებენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამაში ჩართული განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ○ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა; ○ გთუნი-ს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესი; ○ უსდ-ს პერსონალის მართვის სტრატეგია; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ უსდ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; ○ ვებ-გვერდი www.gtuni.edu.ge;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ უნივერსიტეტში აკადემიმური პერსონალისათვის დადგენილია ერთი თავისუფალი სამუშაო დღე, რომელიც ცნობილია „საბიბლიოთეკო დღის“ სახელწოდებით, აღნიშნული დღე ითვლება შრომით დატვირთვაში და ანაზღაურებადია აკადემიური პერსონალისთვის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უსდ-ს შემუშავებული აქვს კვლევითი საქმიანობის ხარისხის და აკადემიური/სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებისა და ანალიზის სისტემა. შეფასება ხორციელდება ყოველწლიური ანაგრიშგების ფორმების საშუალებით და გამოიყენება პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების და ინდივიდუალური მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია კონფერენციებში, ტრენინგებში, კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია თავმოყრილია პერსონალის პირად საქმეებში და გამოიყენება პერსონალის ატესტაციისა და სახელშეკრულებო პირობების გაგრძელების შემთხვევაში. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ფორმით აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება განხორციელდება 2018-2019 სასწავლო წლიდან, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება შედეგების გამოყენება პროფესიული განვითარებისათვის. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების პროცედურების და მექანიზმების მნიშვნელოვანი სხვაობისა მათი ფუნქციებისა და საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, უსდ-ს რეგულაციების მიხედვით ახლადდანერგილი შეფასების პროცესი ორ ძირითად ეტაპად ხორციელდება: 1. დაგეგმვა/პროფესიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება; 2. განხილვა/შეფასება.

პროფესორ-მასწავლებლების ერთწლიანი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა მუშავდება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. პროფესორის ფუნქციის მრავალფეროვნების გათვალისწინებით შემუშავებულია მულტი-კრიტერიუმების სისტემა, რაც მოიცავს აკადემიური პერსონალის საქმიანობის ყველა სფეროს: სწავლებას, სამეცნიერო საქმიანობას, ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივ საქმიანობას და ფასდება შეფასების კომისიის მიერ. უსდ-ში ახალი სისტემის დანერგვამდე, სტუდენტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდებოდა სასწავლო კურსის დასრულებისთანავე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმით გათვალისწინებული წესებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უსდ ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელებიც ემსახურება პროფესიული და/ან სწავლების უნარის განვითარებას, კერძოდ: აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის იმართება ტრენინგები, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, ხორციელდება პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გაგზავნა ნაწილობრივი ან სრული დაფინანსებით, უნივერსიტეტი ატარებს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია გაცვლით, საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში. კერძოდ, უნივერსიტეტმა ბოლო წლების განმავლობაში პერსონალის საჭიროებიდან გამომდინარე უზრუნველყო მათი ჩართულობა არაერთ ღონისძიებაში, მათ შორის დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებში (ერასმუს+ პედაგოგთა მობილობა ინჰოლანდის უნივერსიტეტის ჰაარლემის და როტერდამის სამართლის, ბიზნესისა და ფინანსების ფაკულტეტზე), სტაჟირებებში (EURAC -ევროპული კვლევის აკადემია, იტალია.); აკადემიური პერსონალის ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში და სხვ. მოიუხედავად უნივერსიტეტის აქტიურობისა ამ მიმართულებით, 2018 წელს შეინიშნება საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის და თანამშრომელთა მობილობის კლება. რეკომენდებულია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური და მოწვეულ პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და ხელი შეუწყოს მათ, რომ მეტად აქტიურად გამოაქვეყნონ ნაშრომები საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ე.წ. impact factor-ის მქონე რეიტინგულ ჟურნალებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 16 800 ლარი (სამეცნიერო და სხვადასხვა სამეცნიერო ხარჯი) .
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ○ პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები; ○ უსდ-ს პერსონალის მართვის სტრატეგია; ○ უსდ-ს პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და ხელი შეუწყოს მათ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით (კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკით, ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპუტერული ტექნიკით, სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი აუდიტორიებით, სასწავლო ინვენტარით (პროექტორები, სკამები, მერხები, დაფები), ცენტრალური გათბობის საშუალებებით), რაც შესაძლებელს ხდის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კომპიუტერულ კლასებში, ლაბორატორიებში და ადმინისტრაციის ოთახებში დამონტაჟებულია ელექტრო კონდიცირების სისტემა. უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები (დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, სტენდები და ცეცხლმაქრები). უნივერსიტეტს შენობა–ნაგებობებში შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილებზეა გამოკრული ევაკუაციის გეგმები სართულების მიხედვით. სპეციალური პანდუსები და მოწყობილობები შეღწევადს ხდის როგორც უნივერსიტეტის ძირითად კორპუსის აუდიტორიებს და სველ წერტილს, ასევე ნაწილობრივ ბიბლიოთეკას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთათვის. უნივერსიტეტში ლექციები წარიმართება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. პედაგოგებს საშუალება აქვთ გავლილი სალექციო კურსი და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული მასალა (მაგალითები, დავალება) განათავსონ როგორც სპეციალურად სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე შიდა ქსელში ორგანიზებულ ელექტრონული სწავლების სისტემის - Moodle პორტალზე. აღნიშნული სისტემის გამოყენებით, სასწავლო კურსების გარკვეული რაოდენობა ფართოდ იყენებს კომპიტერულ ტესტირებას სტუდენტების როგორც მიმდინარე, ისე შუალედურ და დასკვნით შეფასებისთვის. უნივერსიტეტში დამუშავების პროცესშია "უნივერსიტეტის მართვის სისტემა", რომელიც მოახდენს უსდ-ს დაწესებულების ყველა

სტრუქტურული ერთეულის ავტომატიზაციას. დღეისათვის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აღნიშნული სისტემის ერთი მოდული "ელექტრონული ჟურნალი". უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი და სამკითხველო დარბაზში უზრუნველოფილია წვდომა **EBSCO-ს პაკეტში** შემავალ 11 ბაზაზე (Academic Search ELITE, Business Source ELITE, MasterFILE ELITE, Health Source: Consumer Edition, Health Source: Nursing/Academic,Newspaper Source, MEDLINE, ERIC, Library and Information Center (LISTA), Regional Business News, GreenFile). ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით. უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენების შესახებ შესაძლებლობისა და მოხმარების წესების გაცნობის მიზნით იმართება პერიოდული საორიენტაციო შეხვედრები, შიდა ბაზების მუშაობის, ასევე საერთაშორისო საბიბლიოთეკო სერვისების გამოყენების წესების შესახებ. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სილაბუსებში არსებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდი; ○ უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მისამართი: http://www.gtuni.edu.ge; ○ ელექტრონული სწავლების ვებ-გვერდის მისამართი: http://moodle.gtuni.edu.ge; ○ უნივერსიტეტის მართვის სისტემის ვებ-გვერდი: http://www.gtuni.edu.ge/gtunisoft; ○ ელექტრონული სწავლების სისტემის მისამართი: http://192.168.10.3/moodle/; ○ შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება გთუნი-ს ბიუჯეტიდან. ბიზნესის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბიუჯეტირება ხორციელდება უსდ-ს სტრატეგიული გეგმის და მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისად. ფაკულტეტის ბიუჯეტი ასახავს ინფორმაციას სტუდენტების სწავლის საფასურისგან მიღებული შემოსავლების შესახებ. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯების შემდეგი მუხლები: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის და დანარჩენი ადმინისტრაციის ხელფასი, სამეცნიერო მივლინების, სხვადასხვა სამეცნიერო ხარჯები, რეკლამირებისთვის გაწეული ხარჯი, სახელმძღვანელოების შეძენის ხარჯი, და სხვ. აღნიშნული ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის ბიუჯეტი; ○ პროგრამის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს გთუნი-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს, როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით ხორციელდება პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვა, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, რომელთა საფუძველზეც შემუშავდება შიდა და გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების სისტემა. პერსონალი იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. შიდა ხარისხის შეფასება ხორციელდება როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგებია: უნივერსიტეტში სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით; საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთობების განვითარებისა და საქმიანობის საუკეთესო გამოცდილების ამსახველი ინფორმაციის გავრცელებისთვის ხელშეწყობა; საკუთარი პოტენციალის უკეთ გაცნობიერება, განვითარების ორგანიზაციული დაგეგმვისა და სწავლების პროცესების სრულყოფა. შემფასებელთა ჯგუფში აკადმიური პერსონალის გვერდით აქტიურად არიან ჩართულები სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. შემფასებელთა ჯგუფის მუშაობის შედეგებს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო. პროგრამის შეფასებს ხდება ყოველწლიურად, რომელსაც ფაკულტეტის ხარისხის სამსახური ახორციელებს და მონიტორინგს ეწევა გთუნი-ს ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური. ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ვადებს. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის მიერ განხორციელებული აქტივობებია: საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შეფასებას დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით. ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოთქმული რეკომენდაციები და შენიშვნები გადაეცემათ პროგრამაში ჩართულ პირებს, ასევე პროგრამის შემუშავების, გადამუშავება-განახლების ჯგუფს, რომელიც აღნიშნულ რეკომენდაციებს პროგრამის მოდიფიცირების დროს ითვალისწინებს. შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების(მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამა;

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების სტატისტიკური ანალიზი:
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა;
- ვებ-გვერდი www.gtuni.edu.ge;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის გარე შეფასება ამოწმებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურობას და უნივერსიტეტს სთავაზობს ახალ მიმართულებებს, ასევე, დაწესებულებასა და საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას გთუნი-ს საქმიანობის ხარისხის შესახებ. უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ციკლს: „დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–განავითარე". განსაკუთრებით უნდა გამოიყოს „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი"-თ გათვალისწინებული რეგულაციები, რომლის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტებულ პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციები, შენიშვნები, მითითებები გაითვალისწინოს და განსახილველად გადასცეს ფაკულტეტს, სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს და უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. აღნიშნულმა პროგრამამ, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად გაიარა გარე შეფასების ყველა ეტაპი. გარე შეფასებები უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების და შედეგების თავსებადობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საჭიროებებთან. მნიშვნელოვანია გარე შეფასების გაზიარების მაჩვენებელი. გთუნი-მა 2013 წლის 11 ოქტომბერს სსიპ ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები სრულად გაიზიარა და ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებით, დებულებებში შეტანილი ცვლილებებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გაანალიზების საფუძველზე, საბაკალავრო პროგრამაში განახორციელა შესაბამისი ცვლილებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების(მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან; ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება რეგულარულ მონიტორინგს და შეფასებას, რომელსაც „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“-ს თანახმად ახორციელებენ: პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი. პროგრამების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პერიოდულად სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად. ამ კუთხით,

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვები სასწავლო კურსების შეფასების კუთხით (კითხვარები). სასწავლო უნივერსიტეტის სწავლების პროცესში რეგულარულად მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო საქმიანობის მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, რაც აისახება შეფასების ფორმაში. უნივერსიტეტი რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე. შეფასება ახდენს პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას. მონიტორინგის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა ეცნობა ყველა შესაბამის მხარეს. საგანმანათლებლო პროგრამების რეგულარული მონიტორინგის და შეფასების მიზანია პროგრამის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა, სტუდენტებისთვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნა. უნივერსიტეტში იგეგმება პროგრამის განვითარების მიზნით განმავითარებელი შეფასებისათვის პროგრამის ექსპერტიზა, ამ მიზნით უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ინფორმაციების გაცვლის პროცესი ნიდერლანდების სამეფოს „ინ-ჰოლანდი"-ის უნივერსიტეტთან, რომელიც ახორციელებს ანალოგიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე მხარეების ურთერთშეთანხმების საფუძველზე ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობს სტუდენთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობა. სასწვლებელში მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან; ○ ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან; ○ აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების სტატისტიკური ანალიზი; ○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ვასილ კიკუტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმოწერა

მარინა ჩავლეიშვილი

ნინო დგვეფაძე

დავით ბურჯანაძე